

1.3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოები

- ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავების პროცესი

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო განაგრძობს მუშაობას ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივებთან შესაბამისი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებაზე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №1140 განკარგულებით დამტკიცებული "სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ" პროგრამით (შემდგომში - საქართველოს მთავრობის პროგრამა) გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში.

ამასთანავე, აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში საქართველომ ასოცირების ხელშეკრულების მიღების შემდეგ 4-8 წლის პერიოდში უნდა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული 16 ახალი მიდგომის დირექტივის ინკორპორირება საქართველოს კანონმდებლობაში (*დირექტივები განსაზღვრულია, როგორც ასოცირების ხელშეკრულების 3A დანართით, ასევე საქართველოს მთავრობის პროგრამით*).

აღნიშნული დირექტივების დასაწერად სააგენტო გეგმავს შეიმუშაოს მისაღები ტექნიკური რეგლამენტების გეგმა და შესაბამისი ვადები, რომლის მიხედვითაც დაიწყებს მუშაობას ევროდირექტივების შესაბამისი ქართული ტექნიკური რეგლამენტების პროექტების შემუშავებაზე.

- საკანონმდებლო საქმიანობა

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (შემდგომში კოდექსი) 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესაბამისად, მომზადდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ იქნა შემდეგი ტექნიკური რეგლამენტები:

- „ტექნიკური რეგლამენტი მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი მაგისტრალური ნავთობსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობის განთავსების, ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შეფასების და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;

- „ტექნიკური რეგლამენტი ბუნებრივ გაზზე მომუშავე საავტომობილო გაზსავსები საკომპრესორო სადგურებისათვის“;
- „ტექნიკური რეგლამენტი გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების (პროპან-ბუტანი) გაზსავსები სადგურების, პუნქტების, ბალონების საშუალოდო საწყობების, ავტომობილების გასამართი სადგურების, სარეზერვუარო, ჯგუფური და ინდივიდუალური გაზბალონიანი დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოების და მოხმარების შესახებ“.

შემუშავებულ იქნა და გადაიგზავნა შესათანხმებლად სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში შემდეგი სტანდარტების პროექტები:

- საქართველოს სტანდარტი „მადნეული და არამადნეული საბადოების მიწისქვეშა წესით დამუშავების უსაფრთხოების წესები“;
- საქართველოს სტანდარტი „კარიერების უსაფრთხოების წესები“.

სააგენტო გეგმავს საზედამხედველო არეალის გაფართოებას, კერძოდ, აირსავსები და აირგასამართი სადგურები დაექვემდებარებიან სრულ ტექნიკურ ინსპექტირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადდა და გადაგზავნილ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტი, რომლითაც ასევე გასწორდება გარკვეული ტექნიკური ხარვეზებიც;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №562 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, სადაც V კლასს განკუთვნილი შენობა-ნაგებობის განმსაზღვრელი მახასიათებლების ნაწილი გადავიდა IV კლასის მახასიათებლებში. კერძოდ, ბუნებრივი ან/და გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზგასამართი სადგურები და მაგისტრალური გაზსადენის გაზგამანაწილებელი სადგური წარმადობით 3000 მ.კბ/სთ-მდე. ასევე გარკვეული ცვლილებები შევიდა მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც განხორციელდა გაზსადენის კატეგორიების კორექტირება.

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, შემუშავებულ იქნა „ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობის განთავსების, ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შეფასების და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს, მოთხოვნების განსაზღვრას სატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობების განთავსება, მოხსნა, დაყენებისა და პარამეტრების შეცვლისათვის.

ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №265 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, რაც გულისხმობს, რომ ნებართვის მაძიებელს, რომელიც ახორციელებს მასშტაბურ სამშენებლო პროექტს, უფლება მიეცემა შეუფერხებლად განახორციელოს პროექტი, ვინაიდან, შესაძლებლობა მიეცემა ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობისას დაიწყოს სამშენებლო სამუშაოები იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც მოიპოვებს საკუთრების ან სარგებლობის

უფლებას, ხოლო მშენებლობის პარალელურად სამშენებლო ბუფერის/ტრასის კოორდინატებში მოახდენს უძრავი ქონების მესაკუთრეთა იდენტიფიცირებას, უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების მოპოვებას, სტატუსის შეცვლას და რეგისტრაციას, აგრეთვე სხვა საჭირო გარემოებათა დაზუსტებას.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შემუშავდა და მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილება „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 24 ივლისის №1-1/202 ბრძანებით შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის №1-1/1527 ბრძანებაში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, სააგენტოში განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია. ამწე, საქვაბე, თბოელექტროსადგურებზე და სამთო ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო დაიყო ორ სტრუქტურულ ერთეულად, რომლის შედეგად ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგი სამმართველოები:

- ამწე-სატრანსპორტო და წნევის ქვეშე მომუშავე ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო;
- სამთო ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო.

სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს დაემატა ახალი სამმართველო - ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველო.

მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსდ - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფლებამონაცვლედ 1998-2006 წლებში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების ნაწილში უნდა ჩაითვალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

• მშენებლობისა და ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები

2014 წლის განმავლობაში შემოწმებულ იქნა შემდეგი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტები:

- ამწე მოწყობილობა - 37; ლიფტი - 724 მათ შორის: ტექნიკური ინსპექტირების შედეგად - 80; მერიის პროგრამით აღდგენილ ლიფტებზე ტექნიკური დათვალიერების შედეგად - 352; ბაზარზე ახლადდამონტაჟებული ლიფტების განთავსებისას ტექნიკური დათვალიერების შედეგად - 292.
- ესკალატორი - 14;
- საბაგირო მოწყობილობა - 33;
- ატრაქციონი - 11;
- წნევაზე მომუშავე ჭურჭელი - 1;

- შახტი -2;
- მალარო - 16;
- კარიერი - 8;
- იარალითა და საბრძოლო მასალებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა-29;
- სანებართვო პირობების შემოწმება -7;
- ამიაკის სამაცივრო დანადგარი - 1;
- ნავთობტერმინალი -2;
- ნავთობბაზა - 6;
- ბუნებრივი გაზის დანადგარი - 7;
- თხევადი გაზის დანადგარი - 6;
- გაზგასამართი სადგური - 1.
- ჰაერის დაყოფის დანადგარი -1.

განხილულ იქნა პროექტები:

ნავთობბაზა– 8,

საკომპრესორო სადგური - 16,

ნავთობის ბაზების გაფართოება და რეკონსტრუქცია - 6.

განხილულ იქნა:

IV კლასის ობიექტების პროექტი - 23,

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროექტი - 2;

ბითუმის დასამზადებელი და განთავსების ქარხნის პროექტი - 2.

ასევე განხილულ იქნა:

V კლასის მაგისტრალური გაზსადენის პროექტი - 3.

გაცემული იქნა:

სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების - 26 ნებართვა.
სანებართვო მოსაკრებელმა შეადგინა 11 260 ლარი.

ტექნიკური ინსპექტირების შედეგად:

უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის 147 060 ლარით დაჯარიმდა 114 ობიექტი.

ამავე პერიოდში სამშენებლო კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების - 74 ნებართვა, მათ შორის 10 მშენებლობის თაობაზე შეთანხმება, სანებართვო მოსაკრებელმა შეადგინა 734403,13 ლარი;
- შემოწმდა მშენებარე ობიექტი - 84;
- შეთანხმდა IV კლასის ობიექტი - 77;
- ზედამხედველობა განხორციელდა 59 ობიექტზე;
- არქიტექტურულ – სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა - 51 ობიექტი. ჯარიმის საერთო რაოდენობამ შეადგინა - 251809,16 ლარი;
- ექსპლუატაციაში იქნა მიღებული - 34 ობიექტი.

2014 წელს სააგენტოში დაიწყო გეოინფორმაციული სისტემების დანერგვის პროცესი. დანერგვა ხორციელდება ორი ეტაპად.

პირველ ეტაპზე მომზადდა ანგარიში სივრცითი მონაცემების კუთხით; გეოინფორმაციული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის შესყიდვა; გეოგრაფიული საფუძველით მომსახურების დანერგვა ვებ-სერვისის სახით; სააგენტოს ორი თანამშრომლის გადამზადება გეოინფორმაციული სისტემების პროგრამულ უზრუნველყოფაში.

ამასთანავე, შეიქმნა გეომონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს:

- განსაკუთრებული მნიშვნელობის V კლასის ობიექტების ნებართვებს;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის V კლასის ობიექტების ზედამხედველობას;
- IV კლასის ობიექტების მშენებლობის I და II სტადიაზე ადმინისტრაციულ წარმოებას;
- სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვას.

მეორე ეტაპის განხორციელება დაგეგმილია 2015 წლისათვის.

2014 წელს ასევე დაიწყო ინტერაქციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით, ისე სანებართვო პირობების შესრულების ზედამხედველობის კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- სისტემის ანალიზი;
- ინტერაქციის ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემის ტექნიკური დავალება;
- ინტერაქციის ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემის სატესტო ვარიანტის შექმნა;
- პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება.